საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

03 ნოე 2025 წ.

KA000011770261825

№ **25/8843**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ პაატა სალიას

წინადადება/რეკომენდაცია

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ბრალდებულ [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" და „დ" ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბატონო პაატა,

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულის, [redacted] საქმე, რომლის თანახმად, [redacted] დაწესებულების თანამშრომლებს, საკანში საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, დახმარება სთხოვა, თუმცა, თანამშრომლებმა პატიმრის კანონიერი მოთხოვნა უგულებელყვეს. პატიმრის მიერ პროტესტის მიზნით გამოხატულ მოქმედებას კი მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება მოჰყვა. შედეგად, [redacted] მიმართ მკაცრი დისციპლინური სახდელი იქნა გამოყენებული ისე, რომ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში გამოკვლეული არ ყოფილა ყველა ფაქტობრივი გარემოება, რამაც პატიმრის ქმედების პროვოცირება გამოიწვია. მიმაჩნია, რომ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი შესწავლისა და შეფასების გარეშე, პატიმრის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენება არ შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

ფაქტობრივი გარემოებები:

ბრალდებულ [redacted] განმარტებით,[1] განთავსებული იყო N8 პენიტენციური
დაწესებულების [redacted] კორპუსის N[redacted] საკანში. ხსენებულ საკანში ტარაკნების არსებობის
პრობლემის მოგვარებას ითხოვდა, რის გამოც, 2025 წლის 9 აგვისტოს, გადაიყვანეს იმავე
კორპუსის N[redacted] საკანში.[redacted] განმარტებით, N[redacted] საკანში არსებულ ნიჟარაში
წყალი არ ჩადიოდა, კანალიზაციის მილი იყო გაჭედილი და პატიმრები საკუთარი ძალებით
ცდილობდნენ მის მოგვარებას, კერძოდ, პატარა სათლით ასხამდნენ წყალს საპირფარეშოში.
გარდა ამისა, [redacted] თქმით, ონკანში მუდმივად მოდიოდა წყალი. [redacted]
თქმით, 2025 წლის 10 აგვისტოს, პატიმრებმა თანამშრომლებს სთხოვეს ხსენებული
პრობლემის მოგვარება, რის პასუხადაც თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ თვითონ
მოეგვარებინათ ხსენებული პრობლემა. [redacted]თქმით, ხსენებული პრობლემის გამო,
პატიმრები ვერ იბანდნენ ხელებს, ვერ რეცხავდნენ ჭურჭელს, ასევე, საკანში იყო სუნი და
გარდა ამისა, საკვებსაც ვერ იღებდნენ გარეცხვის შეუძლებლობის გამო. [redacted]
მტკიცებით, წყალზე წვდომა, ფაქტობრივად, შეზღუდული ჰქონდათ მიუხედავად იმისა, რომ
წყალი მუდმივად მოდიოდა, რადგან წყალი ნიჟარაში არ ჩადიოდა.[redacted] თქმით,
მან რამდენჯერმე ფეხი დაარტყა საკნის კარს. ეს იყო ერთი ეპიზოდი. ამის შემდეგ, საკნის
სარკმელთან მივიდა თანამშრომელი (უთხრა, რომ იყო „[redacted]“, თუმცა [redacted]
თქმით, სხვა თანამშრომლებმა უთხრეს, რომ ეს პირი იყო „[redacted]“) და უთხრა, რომ მის შესახებ
შეადგენდა ანგარიშს.[redacted] თქმით, 2025 წლის 10 აგვისტოს, ის კვლავ გადაიყვანეს
N[redacted] საკანში. პატიმრის თქმით, ხსენებულ საკანში იყო სპეციფიკური, წამლის სუნი. მან
მოითხოვა სასეირნოდ გაყვანა, რომ მომხდარიყო საკნის განიავება, თუმცა ამაზეც უარი
უთხრეს.[redacted] თქმით, საღამოს საათებში, დაახლოებით, საღამოს 5-8 საათამდე
პერიოდში, საკნიდან 2-ჯერ გაიყვანეს. თავდაპირველად, მის საკანთან მივიდა
თანამშრომელი „[redacted]“ და საკნიდან გაიყვანა. ის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე
გაყვა. ამის შემდეგ „[redacted]“ წაუკითხა საბუთები და უთხრა, რომ ეს დოკუმენტები შეადგინა მის
შესახებ. [redacted] თქმით, მოგვიანებით, ისევ მივიდა მასთან ხსენებული
თანამშრომელი „[redacted]“, სხვა თანამშრომლებთან ერთად, საერთო ჯამში, 4-5 ადამიანი იყო.
[redacted] თქმით, ის გაიყვანეს საკნიდან და უთხრეს, რომ უნდა ჩაეყვანათ სამარტოო
საკანში. პატიმრის თქმით, უთხრა, რომ თან უნდა წაეღო წამლები და ნემსები, რასაც ექიმის
დანიშნულებით იღებდა. თუმცა პატიმარს უარი უთხრეს წამლების წაღებაზე და ძალის
გამოყენებით წაიყვანეს.[redacted] თქმით, 2-მა თანამშრომელმა დაუჭირა ხელები, თავი
დაახრევინეს ძირს და ფაქტობრივად, წაათრიეს. ცოტა ხანში [redacted] უთხრა, რომ
ხელბორკილი უნდა დაედოთ და ხელბორკილი დაადეს ხელებზე, ზურგს უკან. ბრალდებულის
თქმით, განიცდიდა ტკივილს და უთხრა კიდეც ამის შესახებ, თუმცა რაიმე რეაგირება არ
მოჰყოლია. გარდა ამისა,[redacted] თქმით, თანამშრომელმა [redacted] ზურგის არეში
ჩაარტყა მუხლი, რის გამოც განიცადა ტკივილი. მისი თქმით, ხსენებული ხდებოდა [redacted]
კორპუსის გასასვლელთან. პატიმრის თქმით, ხსენებულ ადგილას და ასევე, მისი განთავსების
საკნებში ([redacted] არის ვიდეო კამერები. პატიმრის თქმით, მას განუსაზღვრეს
სამარტოო საკანში მოთავსება 5 დღის ვადით. პატიმარი აღნიშნულს მიიჩნევს უსამართლოდ,
რადგან აპროტესტებდა და ითხოვდა საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას, ნიჟარის
შეკეთებას, რომ სათანადო პირობებში ყოფილიყვნენ, თუმცა ამის ნაცვლად, დაეკისრა
დისციპლინური სახდელი. პატიმრის თქმით, მას არ გაუწევია წინააღმდეგობა, ხელები
სტკიოდა და ამიტომ, ვერც გაუწევდა წინააღმდეგობას, თუმცა მაინც ძალის გამოყენებით
გადაიყვანეს. მისი თქმით, ამჟამად ნემსები არ უკეთდება, ექიმმა მხოლოდ ერთხელ მისცა
დამამშვიდებელი, პატიმრისვე მოთხოვნით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის[2] პასუხად, პროკურატურის მიერ
წარმოდგენილი ინფორმაციით, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს
გამომძიებელი შეხვდა და გაესაუბრა ბრალდებულ [redacted] გასაუბრებისას არ
გამოიკვეთა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის
ჩადენის ფაქტი, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა. მასალები გადაიგზავნა
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის
მონიტორინგის დეპარტამენტში,[3] სადაც მსჯავრდებულ [redacted] უფლებების
სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება.
[4]

მსჯავრდებულ [redacted] მიმართ დისციპლინური სახდელის სახით - სამარტოო საკანში
განთავსების თაობაზე განკარგულებისა და შესაბამისი საქმისწარმოების მასალების[5]
მიხედვით ირკვევა:

- დაწესებულების თანამშრომლის პატაკით,[6] 2025 წლის 10 აგვისტოს, დაახლოებით, 13:50
  საათზე, მე-[redacted] სარეჟიმო კორპუსის N[redacted] საკანში განთავსებულმა ბრალდებულმა, [redacted]
  [redacted] დაარღვია სარეჟიმო მოთხოვნები, კერძოდ, ხმაურობდა საკანში, რაც
  შემდგომში გადაიზარდა ყვირილში და აბრახუნებდა საკნის კარებზე, რითაც ხელს
  უშლიდა დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. მორიგე თანამშრომლის
  კანონიერ მოთხოვნაზე - შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, ის კვლავ განაგრძობდა
  [redacted] თანამშრომელმა ითხოვა შემდგომი რეაგირება. იმავე ინფორმაციას შეიცავს

- პატიმრის მხრიდან ჩადენილ ქმედებას ანალოგიურად აღწერს ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის ოქმი.[8] ამასთან, აღსანიშნავია, რომ შესაბამის გრაფებში მითითებული ოქმის შედგენის დრო და დისციპლინური დარღვევის დრო ერთმანეთს ემთხვევა: 2025 წლის 10 აგვისტო, 11 საათი. თუმცა, იმავე ოქმის სხვა გრაფაში, სადაც დარღვევის ფაქტის შინაარსია გადმოცემული, დარღვევის ჩადენის დროდ 2025 წლის 10 აგვისტოს, 13:50 საათია მითითებული;
- თანამშრომლების მიერ შედგენილი დოკუმენტების: ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის ოქმის,,, დისციპლინურ დარღვევასთან დაკავშირებით ბრალდებულის/მსჯავრდებულის ახსნა-განმარტების, დისციპლინური დარღვევის შემდეგ ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებების გაცნობის ოქმის და დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების მიხედვით, [redacted] ოქმების ხელმოწერაზე, ახსნა-განმარტების მიცემასა და განკარგულების ასლის ჩაბარებაზე უარი განაცხადა. ხსენებული ოქმებიდან მხოლოდ უფლებების გაცნობის ოქმზე ფიქსირდება თარჯიმნის ხელმოწერა, რომ პატიმარს მისთვის გასაგებ ენაზე ეთარგმნა;
- 2025 წლის 10 აგვისტოს, 19:00 საათზე გამოცემული, N8 დაწესებულების [redacted] განკარგულების[9] თანახმად, ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად დაადგინა, რომ [redacted] ჩაიდინა პენიტენციური კოდექსის 70-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით და დაწესებულების დებულების მე-80 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება, რაც ზიანს აყენებს წესრიგს და უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რაც გამოიხატა შემდეგში: 2025 წლის 10 აგვისტოს, 11 საათზე, დაწესებულების მე-3 სარეჟიმო კორპუსის N[redacted] საკანში განთავსებულმა ბრალდებულმა, [redacted] დაარღვია სარეჟიმო მოთხოვნები, კერძოდ, ხმაურობდა საკანში, რაც შემდგომში გადაიზარდა ყვირილში და აბრახუნებდა საკნის კარებზე, რითაც ხელს უშლიდა დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას, მორიგე თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნაზე, რომ შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, ის კვლავ იმავეს განაგრძობდა. ბრალდებულ [redacted] სახდელის სახით განესაზღვრა სამარტოო საკანში მოთავსება 5 დღის ვადით;
- 2025 წლის 12 აგვისტოს სამედიცინო ცნობით, [redacted] აღენიშნებოდა ჯანმრთელობის მდგომაროების გაუარესება (თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, არტერიული წნევის მომატება). ასეთ მდგომაროებაში პაციენტის ყოფნა სამარტოო საკანში მიზანშეუწონელი იყო;[10]
- შესაბამისად, N8 დაწესებულების [redacted] განკარგულებით,[11] [redacted] სახდელის სახით დაკისრებული - სამარტოო საკანში მოთავსება 5 დღით - შეუმცირდა 3 დღით და გადაყვანილი იქნა საცხოვრებელ კორპუსზე.

აპარატის მიმართვის[12] პასუხად, ბრალდებულ [redacted] დაკავშირებული ვიდეო ჩანაწერები დაარქივდა ხარვეზით, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაში წარმოქმნილი ტექნიკური გაუმართაობის გამო.[13] მიუხედავად ამისა, ვიდეო ჩანაწერების დათვალიერებით[14] გაირკვა, რომ 2025 წლის 9 აგვისტოს, N[redacted] საკანში იმყოფება 3 პატიმარი. 09:56:40 საათზე შედიან თანამშრომლები და პატიმრებს ესაუბრებიან რამდენიმე წუთით. პატიმრები ნივთებს ფუთავენ და 11:24:40 სთ. გადიან საკნიდან.[15] ვიდეო ჩანაწერები მოიცავს სამივე პატიმრის დერეფანში გადაადგილებისა და სხვა საკანში შესახლების კადრებს. N[redacted] საკანში შედიან N[redacted] საკნიდან გამოყვანილი პატიმრები. ისინი ალაგებენ ნივთებს სათანადო ადგილზე. პერიოდულად, საკვებურიდან ესაუბრებიან თანამშრომლებს. ასევე, პერიოდულად, მიდიან ფანჯარასთან. გაურკვეველია, ფანჯრიდან ვინმეს ესაუბრებიან თუ არა. 17:27:50 საათზე, პატიმრები გადიან საკნიდან პირსახოცებით და ბრუნდებიან 18:10:00 საათზე. პერიოდულად, იყენებენ საკანში არსებულ ონკანს.[16] 2025 წლის 10 აგვისტოს ვიდეო ჩანაწერების თანახმად, საკანში პატიმრები პერიოდულად იყენებენ ონკანს. 01:05:50 და 11:38:50 საათზე პატიმრები ნიჟარიდან ჭიქით იღებენ წყალს, ასხამენ სათლში და ღვრიან საპირფარეშოში. 13:50:15 საათზე ერთ-ერთი პატიმარი (სავარაუდოდ [redacted]), რამდენჯერმე ურტყამს ფეხს კარებზე. 13:51:40 საათზე შედიან თანამშრომლები რამდენიმე წუთით. შემდეგ პატიმრები ფუთავენ საკუთარ ნივთებს და 14:15:35 საათზე გადიან საკნიდან. [17] ვიდეოჩანაწერები მოიცავს პატიმრების დერეფანში გადაადგილებას და N186 საკანში შესახლებას; ასევე, პატიმრებმა N[redacted] საკანში ამოალაგეს შეფუთული ნივთები.[18] ვიდეოჩანაწერებზე ფიქსირდება, რომ [redacted] გამოდის საკნიდან და თანამშრომელთან ერთად გადაადგილდება სამორიგეოსკენ. 18:51:00 საათზე, [redacted] ორმა თანამშრომელმა მკლავებში მოკიდა ხელი და წაიყვანა.[19] [redacted] ცდილობს, არ გაჰყვეს და ამის გამო, ცდილობს ძირს დაჯდომას. თანამშრომლები ცდილობენ მის წაყვანას. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, [redacted] დაჯდა ძირს. 18:54:00 საათზე მას ხელებზე უკეთებენ ხელბორკილებს (ზურგს უკან), რასაც ეწინააღმდეგება პატიმარი. ხელბორკილების გაკეთების შემდეგ, კვლავ მიჰყავთ ძალის გამოყენებით, თუმცა, მცირე მანძილის გავლის შემდეგ, კერძოდ, 18:55:40 საათიდან, პატიმარი ნებით მიჰყვება თანამშრომლებს. შემდეგ შეიყვანეს შესამოწმებელ ოთახში, სადაც 19:01:20 საათზე მოხსნეს ბორკილები. ფარდის მიღმა შეამოწმეს, შეიყვანეს რენტგენ-ოთახში, შემდეგ შეიყვანეს ექიმის

ოთახში. ექიმის ოთახიდან, ერთი თანამშრომლის თანხლებით, ძალის გამოყენების გარეშე, [redacted] შევიდა სამარტოო ოთახში, სადაც შეასახლეს 19:16:20 საათზე. სამარტოო საკნის შიდა სივრცის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი მოიცავს 10 აგვისტოს 19:16:10 საათიდან 23:59:58 საათების მონაკვეთს.[20] 21:10:20 საათზე, [redacted] შედის ექიმთან, რომელიც წნევას უზომავს, გადასცემს აბებს.[21]

სამართლებრივი დასაბუთება:

პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები

საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო; დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.[22] წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვის აბსოლუტური უფლება გარანტირებულია **გაეროს[23] და ევროპის საბჭოს[24] კონვენციებით.**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, პატიმრის ადამიანის ღირსების პატივისცემის შესაბამის პირობებში ყოფნა, ასევე, ღონისძიების აღსრულების წესი და მეთოდი არ უნდა იწვევდეს განსაცდელს ან ტანჯვას, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობისთვის დამახასიათებელ, გარდაუვალ ტანჯვას; პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინებით, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.[25] პატიმრობაში მყოფი პირები დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებიან და ხელისუფლებას ევალება მათი დაცვა.[26] პატიმრის არასათანადო პირობებში მოთავსებისას, მისი დამცირების განზრახვის არარსებობა გასათვალისწინებელი ფაქტორია, თუმცა არ გამორიცხავს კონვენციის[27] მე-3 მუხლის დარღვევის დადგენას.[28] სახელმწიფო ვალდებულია, მოაწყოს პენიტენციური სისტემა ისე, რომ უზრუნველყოს დაკავებულთა ღირსების პატივისცემა, ფინანსური ან ლოჯისტიკური სირთულეების მიუხედავად.[29] სასამართლო პატიმრობის პირობების შეფასებისას ითვალისწინებს პირობების კუმულაციურ ეფექტს, ასევე, განმცხადებლის კონკრეტულ ბრალდებებს და პერიოდის ხანგრძლივობას.[30] მრავალადგილიან საკნებში საკმარისი სივრცის გარდა, მნიშვნელოვანია პირობების სხვა ასპექტებიც: სუფთა ჰაერზე ყოფნის, ბუნებრივი განათების, ჰაერის, ვენტილაციის, გათბობის სისტემის ხელმისაწვდომობა, საპირფარეშოს გამოყენების შესაძლებლობა და ძირითადი სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა.[31] სანიტარული და ჰიგიენური საშუალებების მხრივ, საპირფარეშოზე წვდომა და ჰიგიენის სათანადო პირობების შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია ადამიანის ღირსებისთვის და პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სანიტარული კვანძებისადმი თავისუფალი წვდომა, რათა დაცული იყოს მათი პირადი ცხოვრება.[32] სათანადოდ აღჭურვილ და ჰიგიენურ-სანიტარული ობიექტების ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია პატიმრების ღირსების შესანარჩუნებლად. ჰიგიენა ჯანმრთელობის შენარჩუნების წინაპირობაცაა. ჭეშმარიტად ჰუმანური გარემო შეუძლებელია საპირფარეშოზე წვდომის ან სხეულის სისუფთავის შენარჩუნების შესაძლებლობის გარეშე.[33]

კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა არაერთ საქმეში, სადაც დადასტურდა ცუდი სანიტარული პირობები;[34] მათ შორის, საკანში არსებული ღია ან ტიხრით ნახევრად გამოყოფილი საპირფარეშო წარმოადგენდა პრობლემას ჰიგიენის თვალსაზრისით და ასევე, გამორიცხავდა კონფიდენციალურობას.[35] პრობლემები შეიძლება წარმოიშვას შხაპის მიღების პრაქტიკასთან და არასაკმარის დროსთან დაკავშირებით, როდესაც საშხაპეების რაოდენობა შეზღუდულია და პატიმრები ჯგუფურად მიჰყავთ, კონფიდენციალურობის შესაძლებლობის გარეშე.[36] სასამართლო, ასევე, მიუთითებს ციხეებში მწერებითა და მღრღნელებით დასნებოვნების საწინააღმდეგო სანიტარული ზომების მიღების აუცილებლობაზე, რაც მოიცავს საკმარის და ადეკვატური სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებით უზრუნველყოფას, საკნების, თეთრეულის, ლეიბების და საკვების შესანახი ადგილების რეგულარულ შემოწმებას.[37]

საქართველოს კანონმდებლობით, პატიმრობის დაწესებულებაში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.[38] პენიტენციური დაწესებულება პატიმარს გონივრულ ფარგლებში უქმნის ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს, რომლებიც უნდა მიესადაგებოდეს დაწესებულების [illegible] ნორმალურ ფუნქციონირებას.[39]

დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფდეს პატიმრის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.[41] .პატიმარს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სუფთა სასმელი წყალი;[42] ასევე, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეულახავად.[43] პატიმრის ყოფნისათვის განკუთვნილი სივრცის არქიტექტურულ-ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა და აღჭურვა უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, პირადი ჰიგიენის დაცვას, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას ადამიანის პატივისა და ღირსების შეულახავად.[44]

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებისა (ნელსონ მანდელას წესები)[45] და ევროპული ციხის წესების[46] თანახმად, სანიტარული მოწყობილობები უნდა იყოს საკმარისად უზრუნველყოფილი, რომ პატიმარს შეეძლოს ბუნებრივი საჭიროებების დაკმაყოფილება სისუფთავის/ჰიგიენის, ღირსების და პირადი ცხოვრების დაცვით.[47] პატიმრებმა პირად ჰიგიენას მიაქციონ ყურადღება, ამისათვის ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ისინი წყლით, საპირფარეშოს და ჰიგიენური საშუალებებით, რაც საჭიროა ჯანმრთელობისა და სისუფთავისთვის უზრუნველსაყოფად.[48] საკვების მომზადება და მიღება უნდა ხდებოდეს ჰიგიენურ პირობებში.[49] ზოგადი საცხოვრებელი პირობები, მათ შორის, სანიტარია, სასმელი წყალი, პირადი ჰიგიენა, ვრცელდება ყველა პატიმარზე, გამონაკლისის გარეშე.[50]

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ციხის პირობებზე მსჯელობისას ხაზს უსვამს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) პრევენციული როლის მნიშვნელობას და საქმეების განხილვისას, ყურადღებით აკვირდება მის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს და სახელმწიფოს მიერ მათ დაცვას;[51] ასევე, გადაწყვეტილებებში უთითებს CPT-ის ანგარიშებსა და ომბუდსმენის რეკომენდაციებს.[52]

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT)[53] პოზიციით, ციხეში პატიმრობის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელი ფაქტორებია: მდგომარეობა და სისუფთავე, კერძოდ, ყველა ძალისხმევა იყოს გაღებული, რომ საცხოვრებელი ფართი სუფთად და ჰიგიენურად შენარჩუნდეს; ასევე, მნიშვნელოვანია პარაზიტების/მავნებლების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა; პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ აუცილებელი პერსონალური ჰიგიენის პროდუქტებით და გამწმენდი საშუალებებით; გარდა ამისა, აუცილებელია სანიტარული წერტილები - თითოეულ საკანს ჰქონდეს, სულ მცირე, საპირფარეშო და ნიჟარა. **საგულისხმოა, რომ** საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში 2018 წლის ვიზიტის შემდგომ **CPT-ის** ანგარიშში[54] აღინიშნა, [N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტისას] დელეგაციამ შენიშნა პატიმრების განთავსების ადგილებში ცვეთის და დეგრადაციის ნიშნები, ზოგიერთ საკანში კი მღრღნელებით დაინფიცირების შესახებ საჩივრები დაფიქსირდა. CPT-მ რეკომენდაცია გასცა, რომ N8 დაწესებულებაში პატიმრების განთავსების ყველა ზონის რეაბილიტაციისა და მთელ დაწესებულებაში დეზინფექციის ჩატარების თაობაზე ნაბიჯების გასატარებლად. CPT-ის შემდეგი ვიზიტი N8 დაწესებულებაში განხორციელდა 2024 წლის ბოლოს, თუმცა ანგარიში მოცემული დროისთვის გამოქვეყნებული არ არის.[55]

საქართველოს სახალხო დამცველი 2024 წლის ანგარიშებში[56] მიუთითებს, რომ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ იყო დამაკმაყოფილებელი საკნებსა და სველ წერტილებში; ზოგიერთ საკანში ნესტისგან დაზიანებული იყო ჭერის საფარი და კედლები; რამდენიმე საკანში დაზიანებული და დასვრილი იყო ხელსაბანი, ნიჟარებიდან კი - წყალი ჟონავდა, საპირფარეშოებში ინვენტარს მოდებული ჰქონდა ჟანგი და ობი; საკნებში იყო ნესტი და მოძველებული ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრისადმი: უზრუნველეყო დაწესებულებაში სათანადო სადეზინსექციო, სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

პატიმართა მიმართ დისციპლინური წარმოება და სახდელები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, დისციპლინური სახდელის სახით პატიმრის კარცერში მოთავსება შეიძლება თავისთავად არ არღვევდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. სასამართლო განიხილავს დაკისრებული სახდელის პროპორციულობას და კარცერში ყოფნის პირობებს. სასამართლოს კრიტიკის საგანი გახდა ციხის შიდა რეგლამენტის დარღვევისათვის გათვალისწინებული რამდენიმე დისციპლინური სანქციიდან ადმინისტრაციის მიერ ყველაზე მკაცრი - პატიმრის კარცერში მოთავსების არჩევა. ამასთან, მხედველობაში არ იქნა მიღებული ჩადენილი დარღვევის ხასიათი, პიროვნული თვისებები და სამართალდარღვევის პირველად ჩადენის ფაქტი. გასათვალისწინებელია პატიმარისთვის დაკისრებული დამატებითი სადამსჯელო სანქციის პროპორციულობა, საკითხის შეფასებისას - მოხდა თუ არა პატიმრობის თანმდევი

გარდაუვალი ტანჯვის გადამეტება.[57]სხვა პატიმრებთან ურთიერთობისგან განცალკევება
უსაფრთხოების, დისციპლინური ან დაცვის მიზეზით და სამართლო საკანში მოთავსება
თავისთავად არ წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევას. ამგვარი ღონისძიების მე-3 მუხლის
ფარგლებში მოქცევის შეფასებისას გასათვალისწინებელია: კონკრეტული პირობები,
ღონისძიების სიმკაცრე, ხანგრძლივობა, დასახული მიზანი და გავლენა პატიმარზე.[58]
სამართლო პატიმრობა არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც სასჯელი სხვადასხვა
ორგანოებში საჩივრების გაგზავნისთვის და პატიმრის ეს ქმედება არ შეიძლება იყოს მისი
სამართლო პატიმრობაში მოთავსების არსებითი მიზეზი.[59]

საქართველოს კანონმდებლობით, დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა ქმედება, რომელიც
არღვევს პენიტენციური დაწესებულების დებულებას, წესრიგს, ზიანს აყენებს უსაფრთხოებას
და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მათ შორის, ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც
არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას.[60]
სახდელი ქმედების პროპორციული უნდა იყოს[61] და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ
დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე, დარღვევის ჩადენის ფაქტის
დადასტურების შემდეგ.[62]

პატიმარს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება
აქვს: გასაგებ ენაზე ეცნობოს დარღვევის არსი და საფუძველი; ზეპირი მოსმენით განხილვის
შემთხვევაში ჰქონდეს დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დრო და საშუალება; ისარგებლოს
იურიდიული დახმარებით, სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევაში, თუ
ამას თავად მოითხოვს დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის
შემთხვევაში; ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში მოითხოვოს მოწმეთა დასწრება და
დაკითხოს ისინი; ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით.[63] ასევე, ზეპირი მოსმენის
გარეშე განხილვისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ჰყავდეს ადვოკატი.[64]
პატიმარს განემარტება უფლება – მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები,
განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის
მომსახურებით, გაასაჩივროს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ
განკარგულება.[65]

დისციპლინური დარღვევის საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს პენიტენციური
დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუ ხსენებული პირი
მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება,
უფლება აქვს, საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს.[66] პატიმარს უნდა ჩამოერთვას ახსნა-
განმარტება დისციპლინურ დარღვევასთან დაკავშირებით, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში
დგება ოქმი.[67] პატიმარს, მოწმეს, დაზარალებულს უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს
ახსნა-განმარტებები ან/და შენიშვნები, რაც დაერთვის დისციპლინური ღონისძიების
გამოყენების შესახებ განკარგულებას.[68] ელექტრონული სამუალებით მეთვალყურეობისა
და კონტროლის განხორციელებისას პატიმრის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის
დაფიქსირების შემთხვევაში დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას
შესაბამისი მასალის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებად
გამოყენების მიზნით დაარქივების შესახებ. [69]

დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში პატიმარს უნდა
ჰქონდეს დაჯდომისა და ჩანაწერების გაკეთების საშუალება.[70] პატიმარს უფლება აქვს,
ადვოკატის მიერ იყოს წარმოდგენილი დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენით
განხილვისას, რომელიც ეხება სამართლო საკანში მოთავსებას დისციპლინური სახდელის
სახით გამოყენებას. ზეპირი მოსმენის დაწყებამდე პატიმარს განემარტება საკუთარი
ადვოკატის მოწვევის უფლება, რომელიც თანხმობის შემთხვევაში ხორციელდება
განმარტებიდან 3 საათის განმავლობაში. თუ დადგენილ ვადაში ადვოკატი არ გამოცხადდება
ზეპირ მოსმენაზე, პატიმარს მისი თანხმობით დაენიშნება საზოგადოებრივი ადვოკატი. თუ
პატიმარი ზეპირ მოსმენაზე დასწრებაზე უარს აცხადებს, ფაქტი წერილობით ფიქსირდება.
საწინააღმდეგო შემთხვევაში დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს პატიმარი.[71] ზეპირი
მოსმენა/სხდომა, რომელიც ეხება დისციპლინური სახდელის გამოყენებას, შეიძლება
გაგრძელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, თუ პატიმარი არ
ცხადდება სხდომაზე ან არღვევს წესრიგს ან სხვაგვარად უშლის ხელს სხდომის
მიმდინარეობას.[72]

პატიმრის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას გაითვალისწინება მისი
პიროვნება და ქცევა, დისციპლინური დარღვევის ჩადენის გარემოებები და პატიმრის ახსნა-
განმარტება დარღვევასთან დაკავშირებით. საქმის განხილვის შემდეგ, მტკიცებულების
შეფასების საფუძველზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ
უფლებამოსილი პირი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.[73] დისციპლინური ღონისძიების
გამოყენების შესახებ განკარგულება კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი უნდა იყოს
და კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. პატიმრისთვის დაკისრებული დისციპლინური
სახდელი უნდა შეესაბამებოდეს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის სიმძიმესა

პატიმარს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების მისთვის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ერთჯერადად გაასაჩივროს სასამართლოში..[74] პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია პატიმარს დისციპლინური სახდელი ვადამდე მოუხსნას, თუ ამ სახდელის მიზანი მიღწეულია.[75]

დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი სახეა: სამარტოო საკანში მოთავსება 14 დღემდე ვადით.[76] სამარტოო საკანში მოთავსება გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.[77] სამედიცინო პერსონალი პატიმრის მიმართ ყოველდღიურ, განსაკუთრებულ მეთვალყურეობას უნდა ახორციელებდეს. აუცილებლობის შემთხვევაში მისი სამარტოო საკანში ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს ექიმის დასკვნის საფუძველზე.[78]

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (ნელსონ მანდელას წესები)[79] და ევროპული ციხის წესები[80] ყურადღებას ამახვილებს პატიმრებთან დავების მოსაგვარებლად, დისციპლინური გადაცდომების პრევენციისა და კონფლიქტების გადაჭრის მიზნით, შესაძლებლობის შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციის მხრიდან მედიაციის ან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მიზანშეწონილობაზე.[81] დისციპლინური სახდელი გამოყენებული უნდა იქნას როგორც უკიდურესი საშუალება.[82] დისციპლინური სახდელი უნდა იყოს გადაცდომის პროპორციული.[83] სამარტოო საკანში მოთავსება გულისხმობს დღეში 22 საათით ან მეტი ხნით განცალკევებულ განთავსებას მნიშვნელოვანი ადამიანური კონტაქტის გარეშე.[84] სამარტოო საკანში მოთავსების გამოყენება, მათ შორის, დისციპლინური სახდელის სახით, შესაძლებელია, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როგორც უკანასკნელი ზომა, მხოლოდ განსაზღვრული ვადით და შეძლებისდაგვარად, მოკლე პერიოდით, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უფლებამოსილი პირის ნებართვის საფუძველზე.[85] გარდა ამისა, გათვალისწინებულია პროცედურული გარანტიები: პატიმარს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათის შესახებ და მიეცეს ადეკვატური დრო და საშუალებები დაცვისთვის მოსამზადებლად; დაიცვას თავი თავად, ან ადვოკატის საშუალებით, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით სერიოზული დისციპლინური სახდელის შემთხვევაში; საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით უფასოდ; ასევე, მოითხოვოს მის მიმართ დაწესებული სანქციის სასამართლოს მიერ გადახედვა.[86] აღსანიშნავია, რომ საჩივრის ან მოთხოვნის წარდგენის გამო პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ რაიმე სანქციას, დაშინებას, შურისძიებას, რეპრესიებს, ან სხვა ნეგატიურ შედეგებს.[87]

CPT ტერმინს - „სამარტოო საკანში მოთავსებას“, განმარტავს, როგორც ბრძანების საფუძველზე პირის მოთავსებას სხვა პატიმრებისგან განცალკევებით, მათ შორის, დისციპლინური სანქციის სახით. კონკრეტული ზომის დაკისრების გამართლების შესამოწმებლად გამოსაყენებელი ტესტი ითვალისწინებს, რომ [შეზღუდვა] უნდა იყოს: პროპორციული, კანონიერი, ანგარიშვალდებული, აუცილებელი, არადისკრიმინაციული. დისციპლინური სანქციის სახით სამარტოო საკანში მოთავსებასთან მიმართებით პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნაა, მისი გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ზომა და ყველაზე მოკლე ვადით.[88]ახალ ანგარიშში[89] CPT-მ მიუთითებს ციხის ევროპული წესების ახალ რედაქციაზე (წესი 60.6), რომელიც სამარტოო საკანში მოთავსებას მხოლოდ გამონაკლისად აცხადებს; ასევე, და მიიჩნევს, რომ წესებში მოცემული ელემენტები ზღუდავს აღნიშნული ზომის ფარგლებს და, უზრუნველყოფს გარკვეულ გარანტიებს მისი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ჯერ კიდევ 2019 წელს გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშში[90] მიუთითებდა პატიმართა მიმართ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში არსებული ხარვეზების შესახებ: გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ; დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში არ ეყრდნობოდნენ ნეიტრალურ მტკიცებულებებს და არც მათი მოპოვების მცდელობა ჩანდა; განკარგულებებში მხოლოდ ფორმალურად და შაბლონურად მიეთითებოდა კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომაზე, არ იყო წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია პატიმრის მხრიდან გადაცდომად ჩათვლილი ფაქტის შესახებ; განკარგულებებიდან არ ირკვეოდა, თუ რამ გამოიწვია პატიმრის მხრიდან დისციპლინური გადაცდომა, არ იყო დადგენილი მიზეზშედეგობრივი კავშირი გადაცდომამდე არსებულ ვითარებასა და კონკრეტულ გადაცდომას შორის; განკარგულებები არ შეიცავდა დასაბუთებას კონკრეტული სანქციის გამოყენების პროპორციულობის, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ ინფორმაციას; ერთი სახის დისციპლინური დარღვევის დროს პატიმართა მიმართ განსხვავებული სანქციები გამოიყენებოდა და ნათელი არ იყო არაერთგვაროვანი მიდგომის საფუძველი; შესწავლილი საქმეებიდან არცერთ საქმეზე არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა და შესაბამისად, პატიმარს არ მისცემია საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა; საქმეთა დიდ უმრავლესობაში არ მოიპოვებოდა პატიმრის წერილობითი ახსნა-განმარტება/პოზიციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და არ ჩანდა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა რელევანტური ინდივიდუალური

მახასიათებლების ამსახველი ინფორმაცია; ასევე, არცერთ საქმეში არ ყოფილა ჩართული ადვოკატი; არ ჩანდა, რომ პატიმარს ეცნობა დისციპლინური ბრალდების შესახებ ინფორმაცია, მიეცა გონივრული დრო ან/და საშუალება, წარმოედგინა მისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები; არცერთი განკარგულება პატიმარს არ ჩაბარებია.

უახლეს, 2024 წლის ანგარიშებშიც,[91] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ წინა წლების მსგავსად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახებში და სამარტოო საკნებში პატიმრების ხანგრძლივი დროით იზოლირების პრაქტიკას. სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს კი ეკრძალება გარე სამყაროსთან კონტაქტის საშუალებები (ხანმოკლე პაემანი, ხანგრძლივი პაემანი და სატელეფონო საუბრები). N8 დაწესებულებაში, 2024 წელს გამოყენებული დისციპლინური დასჯის საერთო შემთხვევებიდან 36% იყო სამარტოო საკანში მოთავსება, ხოლო 40% გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა.

მოცემული საქმის ანალიზი

პატიმარი [redacted] მიუთითებდა, რომ N8 დაწესებულების N[redacted] საკნიდან ტარაკნების არსებობის გამო, სხვა საკანში - N[redacted] საკანში გადაიყვანეს, სადაც ნიჟარის მილი იყო გაფუჭებული. ხსენებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით მიმართვის პასუხად, თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ პრობლემა თვითონ მოეგვარებინათ. მართალია, პატიმარი არ უარყოფს და აღიარებს საკნის კარზე ერთ ეპიზოდად ფეხის დარტყმას, თუმცა მისი მტკიცებით, ის საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას ითხოვდა, რაზეც რეაგირება არ ხდებოდა.

საგულისხმოა, რომ პატიმრის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საქმის მასალების თანახმად, საერთოდ არ არის შესწავლილი და განხილული, თუ რა გარემოებები უძღვოდა პატიმრის ქმედებას წინ, რამ განაპირობა მისი ამგვარი ქცევა. საქმის მასალებში მხოლოდ თანამშრომელთა მიერ შედგენილი დოკუმენტებია, რომლებშიც დისციპლინური დარღვევის დროდ განსხვავებული პერიოდებია მითითებული (2025 წლის 10 აგვისტოს 11 და 13:50 სააათი). დაწესებულებას არ მოუპოვებია ნეიტრალური მტკიცებულება - ვიდეო ჩანაწერი, რაც მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე დაარქივდა. საქმის განხილვა გაიმართა ზეპირი მოსმენის გარეშე, შესაბამისად, პატიმარს არც დამოუკიდებლად და არც ადვოკატის საშუალებით თავის დაცვის საშუალება არ მისცემია. პატიმარს დაეკისრა ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი სახდელი - სამარტოო საკანში განთავსება.

[redacted] მიერ მითითებულ საკითხს, რომ საკანში ნიჟარაში წყალი არ ჩადიოდა და პატიმრები წყალს ჭურჭლით საპირფარეშოში ასხამდნენ, ადასტურებს ნეიტრალური მტკიცებულება - აპარატის მიმართვის საფუძველზე დაარქივებულ ვიდეო ჩანაწერში ასახული მონაცემი. N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურული და სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემები ასახულია სახალხო დამცველისა და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშებში.

საქართველოს კანონმდებლობითა და პატიმართა შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პატიმარი სათანადო საცხოვრებელი პირობებით, მათ შორის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით. დაუშვებელია, პატიმრისთვის რაიმე სახის სანქციის დაკისრება მოთხოვნის ან საჩივრის გამო. ციხის ადმინისტრაციას ევალება მედიაციისა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება. პატიმრის მიერ დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს მისი საპროცესო უფლებები, ხოლო დაკისრებული სახდელი ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს. სამარტოო საკანში მოთავსების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი საშუალება.

ამდენად, ბრალდებულ [redacted] მოთხოვნა - საკანში არსებული ნიჟარის შეკეთების და სათანადო პირობების უზრუნველყოფის თაობაზე იყო კანონშესაბამისი და პატიმარი ითხოვდა საკუთარი უფლების რეალიზაციას, თუმცა დაწესებულებამ არ უზრუნველყო პრობლემის აღმოფხვრა. ხოლო როცა პატიმარმა უკმაყოფილება კარზე ფეხის დარტყმით გამოხატა, მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება დაიწყო. ცხადია, რომ პატიმრებმა მოთხოვნები და უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა უნდა წარადგინონ კანონით დადგენილი წესით: ზეპირად ან წერილობით, აგრესიის გარეშე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ [redacted] მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში არ განხილულა პატიმრის მიერ გადაცდომის ჩადენამდე არსებული ვითარება, რაც მიზეზობრივ კავშირში იყო პატიმრის ქცევასთან, კერძოდ, საკნის სათანადო პირობების უზრუნველყოფის თაობაზე პატიმრის კანონიერი მოთხოვნა ხომ არ შეფასდა ხმაურად და სარეჟიმო მოთხოვნის დარღვევად; ასევე, პატიმრის ხსენებული კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფის შემდეგ, მისი იმწუთიერი, ემოციური რეაქცია (საკნის კარზე ფეხის მირტყმა) რამდენად არსებითი ხასიათის დარღვევას წარმოადგენდა ან/და როგორ შეუშალა ამან ხელი [illegible] ნორმალურ ფუნქციონირებას.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს დისციპლინური სახდელის სიმკაცრე - სამარტოო საკანში მოთავსება, რაც აშკარად არაპროპორციულია პატიმრის მიერ ზემოხსენებულ ქმედებასთან მიმართებით. ამასთან, სამარტოო საკანში ყოფნისას პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რაც დასტურდება სამედიცინო ცნობით.

მართალია, 2025 წლის 12 აგვისტოს დაწესებულების [redacted] დაწესებულების [redacted] განკარგულებით, [redacted] მიერ ბრალდებულ [redacted] დაკისრებული დისციპლინური სახდელის - სამარტოო საკანში მოთავსების ვადა 3 დღემდე შემცირდა და იმავე დღეს გათავისუფლდა სამარტოო საკნიდან (გადაიყვანეს საცხოვრებელ საკანში), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებული [redacted] ითვლება სახდელდადებულ პირად.

კანონით, სამარტოო საკანში მოთავსების დისციპლინური სახდელის სახით დაკისრების შემთხვევაში პატიმარი დისციპლინურ სახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ მან მისი მოხდიდან 1 წლის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა.[92] საგულისხმოა, რომ სასჯელის შემდგომი მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების[93] და თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის[94] განხილვისას გასათვალისწინებელი ერთ-ერთი გარემოებაა მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა, რაშიც მოიაზრება: გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებების რაოდენობა და სახე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო, დაწესებულების დებულების, დღის განრიგის, მოვალეობების შესრულებისა და სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაცია.[95] დისციპლინური სახდელის გამოყენების ფაქტი შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია მსჯავრდებულის საშიშროების რისკის[96] განსაზღვრისას. ხოლო საშიშროების რისკის საფუძველზე ხდება მსჯავრდებულის განთავსება კონკრეტული ტიპისა თუ რისკის დაწესებულებაში.[97]

შესაბამისად, ბრალდებულ [redacted] სათანადო საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის თაობაზე მოთხოვნის უგულებელყოფის გამო გამოვლენილი ემოციური ქმედების გამო, საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე, მხოლოდ დაწესებულების თანამშრომელთა ცალმხრივი პოზიციის გაზიარების საფუძველზე დაკისრებული დისციპლინური სახდელი უარყოფითად შეიძლება აისახოს მსჯავრდებულის საშიშროების რისკების შეფასებისა და საშეღავათო მექანიზმებით სარგებლობისას.

გარდა ამისა, საჭიროა, N8 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების ქმედებების შეფასება, ვინაიდან კანონის თანახმად, მოსამსახურის დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.[98] შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩატარდეს სამსახურებრივი შემოწმება N8 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიმართ პატიმრის უფლებების დარღვევის ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა: სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით უზრუნველყოფის შესახებ პატიმრის კანონიერი მოთხოვნის უგულებელყოფა, საქმის არასრულყოფილად შესწავლა, ნეიტრალური მტკიცებულების მოუპოვებლობა (როცა ამის შესაძლებლობა არსებობდა), ყველა რელევანტური გარემოების შეუფასებლობა და გაუთვალისწინებლობა, ყველაზე მკაცრი, არაპროპორციული სახდელის - სამარტოო საკანში მოთავსების გამოყენება, ასევე ის თუ რამ გამოიწვია სამარტოო საკანში ყოფნისას პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად:

1. მოგმართავთ რეკომენდაციით, რათა პენიტენციურ დაწესებულებებს მიეცეთ მითითება, რომ პატიმრების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების პროცესი წარმართონ სრულყოფილად და ყოველმხრივ, უზრუნველყონ დისციპლინური სახდელების გამოყენება კანონიერების, დასაბუთებულობის, პროპორციულობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვით;
2. მოგმართავთ წინადადებით, შეისწავლოთ თანამშრომლების ქმედებები და განახორციელოთ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების/რეკომენდაციის განხილვის შედეგები სახალხო დამცველს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

_____

[1] 2025 წლის 12 აგვისტოს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებაში, ბრალდებულ [redacted] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების შეხვედრისა და გასაუბრების ოქმი.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2025 წლის 12 აგვისტოს N25/6366 წერილით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

[3] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 22 აგვისტოს N13/60622 წერილი.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2025 წლის 11 სექტემბრის N260762/01 წერილი.

[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების 2025 წლის 19 სექტემბრის N269723/24 წერილის დანართი.

[6] N8 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარი ინსპექტორის [redacted] 2025 წლის 10 აგვისტოს N228369/24 პატაკი N8 დაწესებულების [redacted]

[7] სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის [redacted] (თანამშრომლის გვარი გარკვევით არ იკითხება) 2025 წლის 10 აგვისტოს ახსნა-განმარტება.

[8] 2025 წლის 10 აგვისტოს N228375/24 ოქმი შედგენილია სამართლებრივი განყოფილების მთავარი ინსპექტორების: [redacted] მიერ.

[9] დაწესებულების [redacted] 2025 წლის 10 აგვისტოს N228382/24 განკარგულება.

[10] ექიმის, [redacted] მიერ გაცემული 2025 წლის 12 აგვისტოს N011276691 სამედიცინო ცნობა.

[11] N8 პენიტენციური დაწესებულების [redacted] 2025 წლის 12 აგვისტოს განკარგულება.

[12] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2025 წლის 12 აგვისტოს N25/6365 წერილით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს.

[13] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2025 წლის 21 აგვისტოს N240096/01 წერილი.

[14] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ 2025 წლის 11 სექტემბრის ვიდეო ჩანაწერის შესწავლის ოქმი. ვიდეოჩანაწერების ხედვის არე მოიცავს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების [redacted] კორპუსის N[redacted]ე საკანს და იმავე კორპუსის N[redacted]ე საკანს. ჩანაწერების პერიოდი - 2025 წლის 9 და 10 აგვისტო.

[15] ვიდეო ჩანაწერი (08-09-2025 sat C1-186-1).

[16] ვიდეო ჩანაწერი (08-09-2025 sat C3-248-2).

[17] ვიდეო ჩანაწერები (08-10-2025 sun C3-248-2).

[18] ვიდეოჩანაწერები მოიცავს (08-10-2025 sun 01-186-2) 14:18:00 საათიდან 18:48:58 საათამდე.

[19] ვიდეო ჩანაწერი (10-08-2025 sun C1 CAM 21).

[20] ვიდეო ჩანაწერი (samartoo 2).

[21] ვიდეო ჩანაწერი (10-08-2025 sun DO-APTIKA-1).

[22] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ. 9, პუნქტ. 1-2.

[23] გაეროს კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“.

[24] ევროპის საბჭოს კონვენციები: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, მუხლ. 3; „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის თაობაზე კონვენცია“.

[25] Kudła v. Poland [GC], N30210/96, 26.10.2000, §94; Mandić and Jović v. Slovenia, N5774/10, 5985/10, 20.10.2011, §73; Idalov v. Russia [GC], N5826/03, 22.05.2012, §93; Muršić v. Croatia [GC], N7334/13 20.10.2016, §99; Neshkov and others v. Bulgaria, N36925/10, 21487/12, 72893/12, 73196/12, 77718/12, 9717/13, 27.01.2015, §228; Varga and others v. Hungary, N14097/12, 45135/12, 73712/12, 34001/13, 44055/13, 64586/13, 10.03.2015, §71; Sukachov v. Ukraine, N14057/17, 30.01.2020, §85.

[26] Rooman v. Belgium [GC], N18052/11, 31.01.2019, §143.

[27] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.“

[28] Peers v. Greece, N28524/95, 19.04.2001, §74; Mandić and Jović v. Slovenia, N5774/10, 5985/10, 20.10.2011; §72; Iacov Stanciu v. Romania, N35972/05, 24.07.2012, §165; Neshkov and others v. Bulgaria, N36925/10, 21487/12, 72893/12,73196/12, 77718/12, 9717/13,

[29] Muršić v. Croatia [GC], N7334/13 20.10.2016, §99; Neshkov and others v. Bulgaria, N36925/10, 21487/12, 72893/12,73196/12, 77718/12, 9717/13, 27.01.2015, §229.

[30] Idalov v. Russia [GC], N5826/03, 22.05.2012, §94; Varga and others v. Hungary, N14097/12, 45135/12, 73712/12, 34001/13, 44055/13, 64586/13, 10.03.2015, §72; Muršić v. Croatia [GC], N7334/13 20.10.2016, §101; Ribár v. Slovakia, N56545/21, 12.12.2024, §98.

[31] Neshkov and others v. Bulgaria, N36925/10, 21487/12, 72893/12,73196/12, 77718/12, 9717/13, 27.01.2015, §233; Muršić v. Croatia [GC], N7334/13 20.10.2016, §139; Clasens v. Belgium, N26564/16, 28.05.2019, §33; Sukachov v. Ukraine, N14057/17, 30.01.2020, §86; İlerde and others v. Türkiye, N35614/19, 5885/20, 6489/20, 7540/20, 10977/20, 11422/20, 14798/20, 16554/20, 16577/20, 18001/20, 40294/20, 05.12.2023, §170.

[32] Clasens v. Belgium, N26564/16, 28.05.2019, §34; İlerde and others v. Türkiye, N35614/19, 5885/20, 6489/20, 7540/20, 10977/20, 11422/20, 14798/20, 16554/20, 16577/20, 18001/20 and 40294/20, 05.12.2023, §171.

[33] Ananyev and others v. Russia, N42525/07, 60800/08, 10.01.2012, §156; Neshkov and others v. Bulgaria, N36925/10, 21487/12, 72893/12,73196/12, 77718/12, 9717/13, 27.01.2015, §240.

[34] Iacov Stanciu v. Romania, N35972/05, 24.07.2012, §175; Longin v. Croatia, N49268/10, 06.11.2012, §59-62.

[35] Aleksandr Makarov v. Russia, N15217/07,12.03.2009, §97-100; Ananyev and others v. Russia, N42525/07, 60800/08, 10.01.2012, §157; Neshkov and others v. Bulgaria, N36925/10, 21487/12, 72893/12,73196/12, 77718/12, 9717/13, 27.01.2015, §241.

[36] Ananyev and others v. Russia, N42525/07, 60800/08, 10.01.2012, §158; Neshkov and others v. Bulgaria, N36925/10, 21487/12, 72893/12,73196/12, 77718/12, 9717/13, 27.01.2015, §242.

[37] Ananyev and others v. Russia, N42525/07, 60800/08, 10.01.2012, §159; Neshkov and others v. Bulgaria, N36925/10, 21487/12, 72893/12,73196/12, 77718/12, 9717/13, 27.01.2015, §243.

[38] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 46, ნაწ. 1.

[39] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 110, ნაწ. 5.

[40] საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი, 2019 წლის 6 მარტის N388–N01-18/ნ ბრძანება.

[41] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 110, ნაწ. 1.

[42] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 111, ნაწ. 7.

[43] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 112, ნაწ. 1.

[44] საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი, 2019 წლის 6 მარტის N388 – N01-18/ნ ბრძანება, მუხლ. 11, პუნქტ. 1.

[45] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N70/175, მიღებული 2015 წლის 17 დეკემბერს. იხ. <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf> [ბოლოს ნანახია: 15.10.2025].

[46] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე, ცვლილებები და შესწორებები შეტანილია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 1 ივლისს მინისტრთა მოადგილეების 1380-ე კრებაზე) იხ. <https://rm.coe.int/09000016809ee581> [ბოლოს ნანახია: 15.10.2025].

[47] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი: 15; ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 19.3.

[48] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი: 18.1; ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 19.5, 19.6.

[49] ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 22.3.

[50] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი: 42.

[51] Clasens v. Belgium, N26564/16, 28.05.2019, §33.

[52] Rezmiveş and others v. Romania, N61467/12, 39516/13, 48231/13, 68191/13, 25.04.2017, §108.

[53] წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), CPT/Inf (2015)44, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2015 წლის 15 დეკემბერი, დანართი, იხ. <https://bit.ly/31J9N53> [ბოლოს ნანახია: 20.10.2025].

[54] ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის სექტემბერში, ანგარიში გამოქვეყნდა 2019 წლის 10 მაისს. იხ. <https://rm.coe.int/1680945eca> პარ. 58. [ბოლოს ნანახია: 20.10.2025].

[55] იხ. <https://www.coe.int/en/web/cpt/-/council-of-europe-anti-torture-committee-visits-georgia> <https://www.coe.int/en/web/cpt/georgia> [ბოლოს ნანახია: 20.10.2025].

[56] საქართველოს სახალხო დამცველი პრევენციის ეროვნული მექანიზმი „N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2024“, გვ. 8-10. იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024110414211456102.pdf> [ბოლოს ნანახია: 13.10.2025 წ.] საქართველოს სახალხო დამცველი პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში, გვ. 43 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2025073016431741922.pdf> [ბოლოს ნანახია: 13.10.2025 წ.].

[57] Ramishvili and Kokhreidze v. Georgia, N1704/06, 27.01.2009, §82-83.

[58] Rzakhanov v. Azerbaijan, N4242/07, 04.07.2013, §64.

[59] Rzakhanov v. Azerbaijan, N4242/07, 04.07.2013, §74.

[60]პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 70, ქ/პ. „კ“.

[61] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 71, ნაწ. 1.

[62] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 71, ნაწ. 2.

[63] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 73, ქ/პ. „ა“-„ე“.

[64] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 2.

[65] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 3.

[66] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 1.

[67] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 4.

[68] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 5.

[69] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 58, ნაწ. 9.

[70] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 6.

[71] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 8.

[72] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 9.

[73] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 74, ნაწ. 7.

[74] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 76, ნაწ. 1.

[75] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 77, ნაწ. 5.

[76] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 72, ნაწ. 1, ქ/პ. „ზ“.

[77] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 78, ნაწ. 1.

[78] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 78, ნაწ. 8.

[79] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია N70/175, მიღებული 2015 წლის 17 დეკემბერს. იხ. <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/GA-RESOLUTION/E_ebook.pdf> [ბოლოს ნანახია: 15.10.2025].

[80] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე, ცვლილებები და შესწორებები შეტანილია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 1 ივლისს მინისტრთა მოადგილეების 1380-ე კრებაზე) იხ. <https://rm.coe.int/09000016809ee581> [ბოლოს ნანახია: 15.10.2025].

[81] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 38.1, ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 56.2.

[82] ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 56.1.

[83] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი: 39.2; ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 60.2.

[84] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი. 44; ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 60.6.ა.

[85] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი, 45.1; ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 60.6.ც.

[86] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი: 41.2, 41.3, 41.4; ევროპული ციხის წესები: პუნქტ. 59.

[87] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი: 57.2; ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 70.9.

[88] წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), 21-ე ზოგადი ანგარიში CPT/Inf (2011)28, 2011 წლის 10 ნოემბერი, პარ. პარ. 5455, 56.ბ. იხ. <https://rm.coe.int/1680696a88> [ბოლოს ნანახია: 20.10.2025].

[89] ევროპული კომიტეტი (CPT), 29-

20.10.2025].

[90] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში, 2019 წელი“ იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.10.2025].

[91] საქართველოს სახალხო დამცველი პრევენციის ეროვნული მექანიზმი „N8 პენიტენციური დაწესებულების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2024 წელი“, გვ. 8, 18-19 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024110414211456102.pdf> [ბოლოს ნანახია: 17.10.2025]; საქართველოს სახალხო დამცველი პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში, გვ. 71 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2025073016431741922.pdf> [ბოლოს ნანახია 17.10.2025].

[92] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 77, ნაწ. 4.

[93] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 91, ნაწ. 4.

[94] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 92, ნაწ. 6.

[95] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართი, მუხლ. 13, პუნქტ. 1, ქ/პ. „ბ“.

[96] „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N395 ბრძანების დანართი, მუხლ. 4, ქ/პ.“რ“.

[97] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 52, ნაწ. 4, ქ/პ. „ა“.

[98] პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 20, ნაწ. 2, ქ/პ. ა“.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი